ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "პროფესიული სწავლების ცენტრი რედლაინს"-ს შორის 2020 წლის 11 თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულების დანართი

შეთანხმების ოქმი №1

დ. ადიგენი 12 თებერვალი 2020 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის მ/შ არსენ ბალახაშვილის სახით შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს "პროფესიული სწავლების ცენტრი რედლაინს", წარმოდგენილი დირექტორის ირმა კახიძის სახით (შემდგომში `შემსრულებელი~),, მხარეებს შორის 2020 წლის 11 თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულების მე-10 მუხლის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

მხარეებს შორის 2020 წლის 11 თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება:

ა) ხელშეკრულების თავსართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ერთის მხრივ, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ222729162) (შემდგომში „შემსყიდველი")წარმოდგენილი მისი მერის ზაქარია ენდელაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს "პროფესიული სწავლების ცენტრი რედლაინს" (ს/კ 405376374) , მისამართი : ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 2-ე კვარტ.კორპ.32, ბ.14 წარმოდგენილი დირექტორ ირმა კახიძის სახით (შემდგომში `შემსრულებელი~), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)პუნქტის და მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისთვის სატრენინგო მომსახურების გამარტივებული შესყიდვა (CPV-80500000), რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგი თანხით 2500 (ორიათასხუთასი ლარი და 00 თეთრი) გადასახადების ჩათვლით (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~);

ბ) ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის თანამშრომლების ტრეინინგი თემებზე: „ეფექტური კომუნიკაცია", „მოლაპარაკების ხელოვნება და კონფლიქტების მართვა";

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკულებით გათვალიწინებული სხვა მუხლები და ვალდებულებები რჩება უცვლელი.

დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედი ვადით.

წინამდებარე შეთანხმება შეგდენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ინახება ხელმომწერ მხარეებთან და წარმოადგენს 2020 წლის 11თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

,,შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალიტეტის მერის მ/შ: არსენ ბალახაშვილი

ADIGENI MUNICIPALITY

Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2020.02.12 13:46:39 +04'00'

,,მიმწოდებელი"

შპს "პროფესიული სწავლების ცენტრი რედლაინს"-ს

დირექტორი: ირმა კახიძე